ა(ა)იპ „თვითმმართველი ქალაქის - ფოთის ბავშვთა ცენტრი“

08.02.2024 წ.

ა(ა)იპ „თვითმმართველი ქალაქის - ფოთის

ბავშვთა ცენტრის მიერ 2023 წელს გაწეული საქმიანობის

ა ნ გ ა რ ი შ ი

ა(ა)იპ „თვითმმართველი ქალაქის-ფოთის ბავშვთა ცენტრი“ თავის საქმიანობას ახორციელებს დამტკიცებული წესდებით, ბავშვზე ზრუნვის სტანდარტების და სალიცენზიო პირობების შესაბამისად.

,,ბავშვთა ცენტრის'' საქმიანობა მოიცავს ეკონომიკურად უკიდურესად შეჭირვებულ, უმეთვალყურეოდ დარჩენილ ბავშვთა სოციალური რეაბილიტაციის, ფიზიკური გაჯანსაღებისა და უფასო კვებით მომსახურებას, აგრეთვე საჭიროების შემთხვევაში სამედიცინო ამბულატორიული მკურნალობისათვის მედიკამენტებით მკურნალობას.

,,ბავშვთა ცენტრი'' სალიცენზიო პირობების შესაბამისად ახორციელებს ბენეფიციართა 24 საათიან მომსახურებას და გათვალისწინებულია ქალაქ ფოთის მკვიდრ 10 ბენეფიციარზე.

2023 წელს ,,ბავშვთა ცენტრში'' ირიცხებოდა 8 ბენეფიციარი, წლის განმავლობაში განხორციელდა 2 ბენეფიციარის რეინტეგრაცია ოჯახებში, 2023 წლის 01 მარტსა და 2023 წლის 01 სექტემბერში.

ა(ა)იპ - თვითმმართველი ქალაქის - ფოთის ბავშვთა ცენტრის 2023 წლის საშტატო განრიგით ,,ცენტრში'' დასაქმებული იყო 11 თანამშრომელი.

/2023 წლის საშტატო განრიგი და თანამდებობრივი სარგოები თან ერთვის/

ა(ა)იპ „თვითმმართველი ქალაქის-ფოთის ბავშვთა ცენტრის“ საქმიანობა ფინანსდება თვითმმართველი ქალაქ ფოთის ადგილობრივი ბიუჯეტიდან.

დაფინანსება მოიცავს თანამშრომელთა ხელფასებს, ბენეფიციართა ოთხჯერად კვებას, კომუნალურ ხარჯებს, ბენეფიციართათვის საჭირო ტანსაცმლისა და მედიკამენტების შეძენის ხარჯებს (საჭიროების შემთხვევაში), პირადი ჰიგიენისა და სასკოლო ნივთების შეძენას, ბავშვზე ზრუნვის სტანდარტებისა და სალიცენზიო პირობების შესაბამისად ბენეფიციართა საკურორტო ზონაში დასვენების ხარჯებს.

,,ბავშვთა ცენტრის'' საქმიანობის განსახორციელებლად ადგილობრივი ბიუჯეტიდან გათვალისწინებულმა ასიგნებამ შეადგინა 182.9 ათასი ლარი, გაცემულია თანამშრომელთა ხელფასი, დაფინანსებულია მოხმარებული ელექტროენერგიის, წყლის, ბუნებრივი აირის, ხარჯები, გადახდილია საკომუნიკაციო მომსახურება, შეძენილია საკანცელარიო სამეურნეო საქონელი, პირადი ჰიგიენის საშუალებები, გაწეულია ბავშვთა ოთხჯერადი კვებისა და საკურორტო ზონაში მათი დასვენების ხარჯები და შეძენილია სხვა საჭირო საქონელი და მომსახურება შესაბამისად, ხელფასის მუხლში თანამშრომლებზე გაცემულია ხელფასი 134.5 ათასი ლარი, გაწეულია მივლინების ხარჯი 1.4 ათასი ლარი, ოფისის ხარჯი 18.9 ათასი ლარი, სამედიცინო 2.2 ათ , ლარი, რბილი ინვენტარი 1.4 ათასი ლარი, ტრანსპორტი ბენეფიციართა გადასაყვანად საკურორტო ზონა ვაკიჯვარში 0.5 ათასი ლარი, სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება 8,7 ათასი ლარი.

განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ბავშვების ჯანსაღი და ასაკის შესაბამისი კვების რაციონის განსაზღვრას. ბენეფიციარები უზრუნველყოფილნი არიან ოთხჯერადი კვებით, დამტკიცებული ნორმებით, მენიუ-გრაფიკისა და კალორაჟის დაცვით. ამ მიმართულებით, კვების მუხლში გახარჯულია 14.2 ათასი ლარი.

გაწეულია მომსახურებები: ელექტრო ენერგიის ხარჯი 3393.54 ლარი, წყლის ხარჯი 1242 ლარი, მოხმარებული ბუნებრივი აირის ხარჯი 6881.24 ლარი, გადახდილია საკომუნიკაციო მომსახურების (ინტერნეტი, ტელეფონი) ხარჯი 844.80 ლარი, შეძენილია საკანცელარიო სამეურნეო საქონელი, ჰიგიენური საშუალებები და საქმიანობისათვის საჭირო სხვა საქონელი და მომსახურეობა საერთო თანხით 4071.45 ლარი.

განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ბავშვების ჯანმრთელობის დაცვას. ბენეფიციარები უზრუნველყოფილნი არიან სამედიცინო პროფილაქტიკური შემოწმებებით და საჭირო სამედიცინო მომსახურეობებით. ამ მიზნით, საჭიროებებიდან გამომდინარე შეძენილია და გახარჯულია მედიკამენტები 1553.04 ლარის ოდენობით, სამედიცინო კლინიკური და სტომატოლოგიის მომსახურეობის 687 ლარი.

ინფექციური დაავადებების გავრცელების პრევენციის მიზნით ,,ბავშვთა ცენტრი'' სრულად ითვალისწინებდა იმ რეკომენდაციებსა და მოთხოვნებს, რაც გათვალისწინებული იყო მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის მოთხოვნით.

აღსაზრდელები უზრუნველყოფილნი არიან სეზონური ტანსაცმლით, ფეხსაცმლითა და ანალოგიური დანიშნულების საჭირო აქსესუარებით. უზრუნველყოფილნი არიან სასკოლო ფორმით. ამ მიმართულებით, რბილი ინვენტარის მუხლიდან გახარჯულია 952 ლარი.

ბენეფიციარები სრულად ჩართულნი არიან საგანმანათლებლო სისტემაში. ისინი სწავლობენ ქალაქ ფოთის N1 საჯარო სკოლაში და ეუფლებიან ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ პროგრამას, 2 ბენეფიცირი სწავლის პარლელურად სპეციალობას ეუფლება სსიპ კოლეჯ ,,ფაზისში''. აღისანიშნავია , რომ ,,ცენტრში'' იმყოფება 2 ს.ს.ს.მ. ბენეფიციარი, შესაბამისად, ისინი აქტიურად არიან ჩართულნი სპეც. მასწავლებლებთან.

,,ბავშვთა ცენტრის'' მიერ ყველა პირობაა შექმნილი ბენეფიციართა ფსიქოსოციალური რეაბილიტაციისათვის, მათი გონებრივი და ფიზიკური შესაძლებლობების განვითარებისათვის, მათში ცხოვრების ჯანსაღი წესის დასამკვიდრებლად და სამომავლოდ, თავისუფალ საზოგადოებაში ცხოვრებისათვის მოსამზადებლად. ბენეფიციარების მიერ სასკოლო დავალებების შესრულების და გაკვეთილების მომზადებაზე მონიტორინგს ახორციელებენ ,,ცენტრის'' სპეციალისტები. ბავშვები უზრუნვეყოფილნი არიან სასკოლო ინვენტარით (ჩანთები, სასწავლო საკანცელარიო ნივთები). ამ მიმართულებით გახარჯულია 1506.72 ლარი.

/ქ. ფოთის ,,ბავშვთა ცენტრის'' 2023 წლის ფინანსური ანგარიში თან ერთვის/.

„ბავშვთა ცენტრის'' პერსონალი მნიშვნელოვან ყურადღებას უთმობს ბენეფიციარებთან კულტურულ და შემოქმედებით საქმიანობას. 2023 წლის განმავლობაში

სხვადასხვა სადღესაწაულო დღეებთან დაკავშირებით ,,ბავშვთა ცენტრის'' ბენეფიციარების მონაწილეობით ჩატარებულია 20 ღონისძიება, რა დროსაც ბენეფიციარებს გადაეცათ სხვადასხვა სახის საჩუქრები და ტკბილეული.

„ბავშვთა ცენტრის“ ბენეფიციარების ფიზიკური და შემოქმედებითი განვითარებისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა ქალაქ ფოთის მერიის ორგანიზებით 2023 წლის ივლისში ჩატარებულ „ცურვის შემსწავლელ ერთთვიან ფესტივალსა“ და 2023 წლის სექტემბერში „საზაფხულო საყმაწვილო კინოსკოლაში“ მონაწილეობას, ბენეფიციარებმა შეისწავლეს ცურვა, ხოლო „საზაფხულო საყმაწვილო კინოსკოლაში“ მათი შედგენილი სცენარით გადაღებულმა ფილმმა და შესრულებულმა როლმა მოწონება დაიმსახურა.

ასევე მნიშვნელოვანი ყურადღება ექცევა სპონსორების მოზიდვასა და ,,ბავშვთა ცენტრის '' საქმიანობით მათი დაინტერესების საკითხს .

2023 წელს სპონსორების მიერ ,,ბავშვთა ცენტრსა '' და მის ბენეფიციარებს 42 შემთხვევაში გაეწია სხვადასხვა სახის დახმარება.

2023 წელს მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა ,,ბავშვთა ცენტრის '' მატერიალურ ტექნიკური ბაზის გასაუმჯობესებლად .

ქალაქ ფოთის მერიის დაფინანსებით მოხდა სახურავის კაპიტალური შეკეთება (სახურავი გამოიცვალა მთლიანად), სასტუმრო ოთახში მოეწყო ე.ე. ,,ფრანგული ჭერი'' და ჩატარდა მიმდინარე რემონტი, საკუთარი ძალებით, უსასყიდლოდ შეკეთდა ,,ცენტრის'' შიდა ინტერიერი, კედლები, ელექტრო ჩამრთველები, განახლდა სასადილო ოთახის კედლები, ბეტონის საფარი მოეწყო ,,ბავშვთა ცენტრის '' შიდა ეზოს დიდ ნაწილზე, აღდგენილ იქნა ღობის ჩამოშლილი ნაწილი, ბენეფიციართა უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად შიდა ეზო დაცული იქნა კარებით.

ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების მიზნით მთლიანად განახლდა ხანძარსაწინააღმდეგო დაფა, ცეცხლმაქრები, შედგენილ იქნა სახანძრო საევაკუაციო გეგმა, რომელიც გამოიკრა თვალსაჩინო ადგილას და ,,ბავშვთა ცენტრის '' პერსონალსა და ბენეფიციარებს ჩაუტარდათ შესაბამისი ინსტრუქტაჟი.

,,ბავშვთა ცენტრის'' ადმინისტრაცია აქტიურად თანამშრომლობს ბენეფიციარების ბიოლოგიურ ოჯახებთან ურთიერთობების შესანარჩუნებლად და ორიენტირებულია, რომ საქმიანობა აკმაყოფილებდეს ბავშვზე ზრუნვის სტანდარტების მოთხოვნებს.

,,ბავშვთა ცენტრის'' წინაშე მდგარ პრობლემათაგან უმთავრესია სველი წერტილების კაპიტალური შეკეთება, ,,ბავშვზე ზრუნვის სტანდარტების'' მოთხოვნებიდან გამომდინარე დამატებით ერთი საშხაპეს მოწყობა, სველ წერტილებსა და საწყობს შორის არსებული ტიხრის კაპიტალური კედლით შეცვლა, ფოიეს, საძინებელი ოთახების, სამედიცინო ოთახისა და საწყობის მიმდინარე რემონტის ჩატარება, აღნიშნულთან დაკავშირებით ,,ბავშვთა ცენტრის'' ადმინისტრაცია აქტიურად თანამშრომლობს მერიის შესაბამის სამსახურებთან და ვიმედოვნებთ, რომ 2024 წლის განმავლობაში მნიშვნელოვანი შედეგები იქნება მიღწეული.

მთლიანობაში შეიძლება ითქვას, რომ ,,ბავშვთა ცენტრის'' ადმინისტრაციამ შეასრულა 2023 წლის ადგილობრივი ბიუჯეტით მასზე ქვეპროგრამით განსაზღვრული ამოცანები, მზრუნველობამოკლებული, უმეთვალყურეოდ დარჩენილი და ,,ბავშვთა ცენტრში'' ჩარიცხული ბენეფიციარების ფსიქოსოციალური რეაბილიტაცია, მათი გონებრივი და ფიზიკური შესაძლებლობების განვითარება, ბენეფიციარებისათვის ოჯახური გარემოს შექმნა, მათში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება განხორციელდა სალიცენზიო პირობებისა და ბავშვზე ზრუნვის სტანდარტების მოთხოვნათა შესაბამისად.

პატივისცემით

დირექტორი

Poti Children's Center

Digitally signed by Poti Childrens Center
Date: 2024.02.08 18:45:57 +04'00'

გიორგი ნიჟარაძე